საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №980-ო/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ინფორმაციის და -- -- 2018 წლის 17 აპრილის №-- მომართვა/საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ოქტომბრის №980-ო/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- -- და -- -- მომართვაში საუბარია -- -- მხრიდან ქალი -- მიმართ კრიტიკის გამოხატვაზე, არაეთიკური და სტერეოტიპებით განპირობებული შინაარსით. კერძოდ, მომართვაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ფაქტზე, რომ -- -- ტელეკომპანია „--“ ეთერში განაცხადა, რომ -- -- ქალბატონებთან ოპონირების რეჟიმი მისთვის არაკომფორტულია.

მომართვაში ნათქვამია, რომ -- -- მიერ ქალი -- მიმართ გამოხატული გენდერული დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები, ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს ქალებისთვის. მტრული სამუშაო გარემოს შექმნა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მიმართვები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით წარმოადგენს გენდერული შევიწროების ფორმას. იგი ზღუდავს ქალთა ეფექტურ მონაწილეობას სამუშაო ადგილებზე, წარმართავს რა პროცესს დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მიდგომებით.

-- მოსაზრებით, სასამართლო კორპუსის წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული დისკრიმინაციის შემცველი ქცევის და დამოკიდებულების სისტემატიური გამოვლენა საჭიროებს ინდივიდუალურ შესწავლას და ადეკვატურ რეაგირებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

„--“-ს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, -- -- - მოსამართლე -- -- განაცხადა შემდეგი: - „დამიჯერეთ, ჩვენთვის საკმაოდ არაკომფორტულია, განსაკუთრებით მამაკაცი --, რომ ქალბატონების აი ასეთი ოპონირების რეჟიმში ვიყოთ. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ვალდებული ვართ

ვიმოქმედოთ კანონის საფუძველზე, რაც გვევალება განვახორციელოთ. მოცემულ შემთხვევაში -- -- იყო ასაცილებელი.“[1]

ტელეკომპანია „--“-ს 2018 წლის 09 თებერვლის საინფორმაციო გადაცემის „--“ ამონაწერი, -- -- -- -- - მოსამართლე -- -- საუბრის ნაწილში:

„ - მოსამართლე - -- -- - …-- -- ახსენა -- -- რეაქცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირ შემთხვევაში -- -- ან -- -- ახლა უკვე, გარკვეულ განცხადებებს აკეთებენ ისეთს, რომ გარკვეულწილად არაადეკვატურად აფასებს -- მიმდინარე პროცესებს. ამასთან დაკავშირებით, -- -- არავინ შეუზღუდია, არც მე, არც ერთ -- -- არასდროს არ შეუზღუდავს თავიანთ ქმედებებში და განცხადებებში. ჩვენ უბრალოდ ჩვენს აზრს გამოვხატავთ, ხომ აცხადებს -- -- და -- --. …ანუ ჩვენს აზრს ვაფიქსირებთ, რომ როდესაც -- წევრები ან პარლამენტისგან ან პრეზიდენტისგან არიან მოვლენილნი, კი ბატონო, მაგრამ როგორც ისინი თანამდებობაზე გამწესდებიან კავშირი მათ წარმომდგენთან, ასე ვთქვათ, პარლამენტთან და პრეზიდენტთან წყდება, ისინი იქცევიან სასამართლოს სისტემის ნაწილად. მათი ვალდებულებაა უკვე, ეს სურვილი არ არის, უფლება კი არ არის, მათი ვალდებულებაა, რომ იზრუნონ მოსამართლეების ღირსების დაცვაზე, სისტემის დამოუკიდებლობაზეც და სისტემის ავტორიტეტის განმტკიცებაზეც. …შესაბამისად, -- -- რეაქციას თუ სხვა -- -- რეაქციას სწორედ ესეთი განცხადებები იწვევს, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, ეს ჩვენი აზრია ხო, ხომ გვაქვს უფლება ჩვენი აზრი გამოვხატოთ. ჩვენი აზრით, ვეუბნებით მას, რომ ეს არის არასწორი, როდესაც ამ განცხადებებს აკეთებ, გარკვეულწილად, რომელი განცხადებაც იწვევს სისტემის დისკრედიტაციას, არასწორია და გთხოვთ, მოგიწოდებთ, ნუ გავაკეთებთ, კონსტრუქციულ რეჟიმში ვიმუშაოთ, ეს არის და ეს, არავინ არ ზღუდავს. რაც შეეხება პროცესისგან ჩამოშორებას, როგორც თქვენ ბრძანეთ (ჟურნალისტს), ეს ფორმულირება რამდენად სწორია არვიცი. ფაქტობრივად, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა განხორციელდა. კანონში არის, დევს ეს პროცედურა. …ჩვენ კანონის მოთხოვნები უნდა დავიცვათ, უნდა დავემორჩილოთ, მიუხედავად იმისა, ეს რა რეაქციას გამოიწვევს საზოგადოებაში. სასამართლოს მოქმედება, სასამართლოს გადაწყვეტილება ხშირ შემთვევაში საზოგადოებრივ აზრს შეიძლება არ დაემთხვეს. ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის გადამწყვეტი. ჩვენ ვალდებული ვართ კანონის მოთხოვნა დავიცვათ. ეხლა რა მოცემულობა შეიქმნა, ექვს თებერვალს, პირველი დღე იყო -- და შემდგომ სამი დღის განმავლობაში. რა მოცემულობა შეიქმნა, ერთ-ერთმა -- წინა დღეს და შემდგომ იმ დილას, უშუალოდ გასაუბრების დაწყებამდე გააკეთებული განცხადებებით, წინასწარ გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება მოსამართლეების მიმართ, იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებიც გარკვეულ წლებში იყვნენ დანიშნულნი, ახორციელებდნენ უფლებამოსილებას და იხილავდნენ სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებს. აქ მართალია იდენტიფიცირება არ ყოფილა კონკრეტული მოსამართლეების, მაგრამ ზუსტადაც, ზოგადად ამიტომ აყენებდნენ მოსამართლეების აცილებას. -- -- არგუმენტი ამაზე იყო, რომ მე ხომ კონკრეტული სახელი და გვარები არ მითქვამს და თქვენ თავზე რატო იღებთო, რომ, მაგალითად, ხართ ადეიშვილის ნარჩენი.

- ჟურნალისტი - თქვენ თავზე რატომ მიიღეთ?
- მოსამართლე -- -- - ჩემ თავზე რატომ მივიღე და მეც იმ წლებში ვიხილავდი ადმინისტრაციულ საქმეებს, იმ 51 მოსამართლესი, რომლებიც გამოდიოდნენ, დიდი ნაწილი იხილავდა წარსულში, იმ წლებში ზუსტად, ადმინისტრაციულ და სისხლის საქმეებს. შესაბამისად, ყველას ეხებოდა ეს განცხადება.
- ჟურნალისტი - მაგრამ თქვენთან -- შემთხვევაში ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ გინდათ? თქვენ რომ გადიოდეთ -- ეს შემაფერხებელი იქნებოდა?
- მოსამართლე -- -- - ამ შეკითხვებს -- -- სვამდა, თვითონაც დაადასტურა მან. საკმაოდ კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა

[1] http://www.tabula.ge/ge/verbatim/129579-mosamartle-mamakaci-tsevrebistvis-qalbatonebtan-oponirebis-rezhimi-arakomfortulia

- ჟურნალისტი - მაგრამ -- --, კანონით გათვალისწინებული ნორმებით.
- მოსამართლე -- -- - გასაგებია, მაგრამ როდესაც მოსამართლე გვეუბნება და გვთხოვს, რომ პირდაპირ გვთხოვს, ჩვენი მოვალეობის შესრულებას, რომ ააცილეთ ეს --, იმიტომ რომ მან ჩემს მიმართ -- --. ის ვერ იქნება მიუკერძოებელი შემფასებელი. ეს ისეთი მოცემულობაა უკვე, ჩვენ გვინდა არ გვინდა ჩვენ ვალდებული ვართ, რომ განვახორციელოთ კანონიერი პროცედურა და ესეთი -- ჩამოვაშოროთ.
- ჟურნალისტი - და ყველა გადაწყვეტილება როდესაც კენჭისყრაა, სუბიექტური არ არის? ინდივიდუალური, სუბექტური, ფარული.
- მოსამართლე -- -- - ხო მაგრამ ეფუძნება კანონს. კანონის განმარტებას.
- ჟურნალისტი - ანუ -- -- მოლოდინი იყო, რომ ის კანონს გასცდებოდა გადაწყვეტილების მიღების დროს? -- --.
- მოსამართლე -- -- - მისი ქმედებებით გამოვლინდა, თვითონ გასცდა ამ კანონით დადგენილ პროცედურას. კანონით არის განსაზღვრული ხომ თავიდან ბოლომდე, თვითონ გავიდა ამ საკანონმდებლო რეგულაციიდან, როდესაც ფართო საზოგადოებას მიმართა და თქვა, რომ ეს მოსამართლეები არიან ანათემაზე გადასაცემები, განსაკვეთი სისტემიდან, და ალბათ საზოგადოებიდანაც. მერე კომენტარები რაც ვნახე მე, იმ სოციალურ ქსელში, მის გვერდზე, ხომ რა კომენტარებიც მოჰყვა ამას. ადამიანები, რომლებმაც ეს მოისმინეს საერთოდაც თანახმა იქნებოდნენ, რომ საერთოდაც ეს მოსამართლეები საქართველოდან გავაძევოთ ალბათ. ესეთი განწყობა შექმნა, ესეთი მოცემულობა შექმნა, დამიჯერეთ ეხლა ჩვენთვის საკმაოდ არაკომფორტულია, განსაკუთრებით მამაკაცი --, რომ ქალბატონების აი ესეთ ოპონირების რეჟიმში ვიყოთ. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ვალდებული ვართ ვიმოქმედოთ კანონის საფუძველზე, რაც გვევალება განვახორციელოთ…"[2]

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ოქტომბრის დასკვნა:

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ინფორმაციის და -- -- №-- მომართვა/საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები ვინაიდან სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელების მიღმა, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ფაქტების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესწავლის და მათზე ზედამხვედლობის ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილია სასამართლო და სახალხო დამცველი. აღნიშნულთან მიმართებაში რაიმე საგამონაკლისო წესს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრული დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმები და მათ შორის დამოუკიდებელი ინსპექტორის მანდატი არ ითვალიწინებს. შესაბამისად, ასეთი უფლებამოსილების არარსებობის პირობებში, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს დისკრიმინაციის ფაქტ(ებ)ი და მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება დისციპლინური კუთხით.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება." დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

[2] https://www.youtube.com/watch?v=kgAM9hAIm18

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით“.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორების მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამავე კანონით განსაზღვრულია ის ექსკლუზიური უფლებამოსილებები და პროცედურები, რითაც აღჭურვილია სახალხო დამცველი დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[9] განსაზღვრავს სასამართლოში სამართალწარმოების სპეციალურ წესს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პირის ან ორგანოს მიერ საქმის განხილვა.

-- -- -- მომართვა/საჩივრის მიხედვით, -- -- მხრიდან -- -- ქალი -- მიმართ ადგილი ჰქონდა განცხადებას, რაც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველია.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ ვის გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება შეისწავლოს დისკრიმინაციის შესაძლო ჩადენის ფაქტები. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, მათ შორის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ჩადენის ფაქტებს, სწავლობს და მათზე ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი, რომელსაც გააჩნია ამისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები. ანალოგიურად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელს განიხილავს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური თავით დადგენილი წესით. შესაბამისად, სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელების მიღმა, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ფაქტების, ასეთის არსებობის

შემთხვევაში, შესწავლის და მათზე ზედამხედველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილია სასამართლო და სახალხო დამცველი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტი მართალია დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ მიუთითებს მოსამართლის მიერ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციულ ქმედებაზე, თუმცა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ასეთი ქმედება ჩადენილი უნდა იყოს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის საერთო სასამართლოების დამოუკიდე-ბლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები (მოსამართლეები).

მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი მოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსამართლე -- -- დისკუსიაში მონაწილეობდა როგორც -- --. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები მეხუთე ღირებულებას წარმოადგენს თანასწორობა, რომლის თანახმადაც სასამართლოში სხდომის ყველა მხარესთან თანასწორი დამოკიდებულების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისათვის. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს სტერეოტიპულ მიდგომას და დისკრიმინაცია სქესის მიხედვით. ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, აკრძალვა დისკრიმინაციისა სქესის ნიშნით ეხება მოსამართლის ურთიერთობას სასამართლო პროცესის მხარეებთან, ადვოკატებთან, სასამართლოს თანამშრომლებთან, ასევე სასამართლოს თანამშრომლებისა და ადვოკატების ურთიერთობას სხვა პირებთან.[3]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლე -- -- მიერ -- -- ფუნქციების შესრულების დროს დისკუსიის ფორმატში გამოთქმული მოსაზრებები ვერ იქნება განხილული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან აღნიშნული დისკუსია მას არ ჰქონია პროცესის მონაწილეებთან და არ იყო დაკავშირებული სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

[3] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, გვერდი 173, §185 (ნანახია 09.09.20)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №980-ო/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი